

## პროექტი

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### დადგენილება N-----

ქ. ოზურგეთი

2017წ----- ივნისი

#### ოზურგეთის მუნიციპალიტეტში იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც ვრცელდება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 33-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### ა დ გ ე ნ ს :

1. ძალის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასებით დაბინძურებისათვის პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება „ურეკი-შეკვეთილისთვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის N273 დადგენილებით განსაზღვრულ ტერიტორიებზე განხორციელებული ქმედებებისთვის.

2. ძალის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასებით დაბინძურებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლებამოსილება მიენიჭოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრს“.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს ავსებს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს 33-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის.

4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.